თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3069468

ნომერი: AR1471922

თარიღი : 20.01.2017

გაცემის თარიღი : 02.02.2017

გაცნობის თარიღი : 02.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბორის პაიჭაძე პ/ნ 01009013551
- პეკინის 9, I სადარბაზო, ბ 7

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1470897 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით # AR1470897 განცხადებით მოთხოვნილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 17 იანვარს #AR1470897 განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ვიტალი გულორდავამ და მოითხოვა ქ.თბილისში ა.წერეთლის გამზირი #2-ში დემონტაჟის ნებართვის ვადა გაგვიგრძელება, რომლის საფუძველზეც სამსახურის # 3059122 ბრძანებით დაკმაყოფილდა მოქალაქე ვიტალი გულორდავას განცხადება და შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 16 აგვისტოს #2780710 ბრძანებაში, კერძოდ მე–3 პუნქტში ჩანაწერი: "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 11.10.2016 წ- ის ჩათვლით.", შეიცვალა ჩანაწერით "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით".

სამსახურის მიერ #3059122 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge